



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მერია



*5000 საქართველო, ჩხორონწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577

ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 25-ს

20 / იანვარი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე და 61-ე მუხლებისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები განაწილდეს შემდეგი სახით:

N	სამუშაო ჯგუფი წევრი თანამდებობა	ფუნქციები
1	გოჩა ჩიქოვანი-ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე	პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან
2	ბესიკ ესებუა-ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების

		პროცესში
3	<p>მაია გოგუა-ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მერის</p> <p>სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა</p> <p>საბჭოს თავმჯდომარე</p>	<p>მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში</p>
4	<p>ზვიად გროგოლაია-ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის</p> <p>მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი</p>	<p>ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით</p>
5	<p>თეიმურაზ მაღანია-ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,</p> <p>კეთილმოწყობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი</p>	<p>საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების</p>

		საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება
6	ზაზა ხორავა- ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა
7	ინგა პაპასქირი-ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების უფროსი	მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის
8	ეკატერინე კვარაცხელია-ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი	მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა

2.ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ“ ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 08 იანვრის №2-ს ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

